

1866
26
1866

Г Р У З И Н С К И Й

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1866.

АВГУСТЪ.

ГОДЪ ТРЕТІЙ.

სამართულობის

სახელმწიფო მასაღებეჯი.

სტუდია.

ხედე წ.

წელიწადი მესამე.

ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА и К^о.

ПОДПИСКА НА „ГРУЗИНСКІЙ
ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ“

на 1866-67 годъ.

Журналъ „Грузинскій Дух. Вѣстникъ“, издается съ 1-го іюля 1864 г., по утвержденной Св. Синодомъ программѣ. Мѣсячная книжка заключаетъ въ себѣ отъ 4-хъ до 5-ти печатныхъ листовъ, вмѣстѣ съ „Русскими Прибавленіями“; а сіи послѣднія — не менѣе одного листа.

Подписная цѣна за годовое изданіе журнала: съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города 5 р. за 12 книжекъ, вмѣстѣ съ „Прибавленіями“, на русск. яз.; безъ доставки же и пересылки 4 р.; „Прибавленія“ (для особо подписывающихся) въ Закавказскомъ краѣ 1 р., а внѣ его — 1 р. 50 к. с. По сей же цѣнѣ можно получать остающіеся въ маломъ числѣ экземпляры журнала за прошедшіе годы.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, въ квартирѣ редактова, подъ горою св. Давида, и въ канцеляріи правленія тифлисской дух. семинаріи, на имя профессора семинаріи, священника *Г. Хелидзе*.

ტებასა შინა შეკვიძლიან დავერწმუნნეთ არა მხოლოდ
 მით, რომელ ღმერთი არს მამა ჩუწნი, არამედ მით-
 ცა, რომელ „არა არს სივრუე ღუთისა-თანა, ვითარ-
 მცა დაივიწენა საქმენი ჩუწნნი“ (ებრ. თ. 6. მუხ.
 10), „მიაგებს კაცად-კაცადსა საქმეთა მისთა-ებრ“
 (რომ. თ. 2. მუხ. 6), და ეოველთა მეძიებელთა
 მისთა სასყიდლის-მიმცემელ-იქმნების“ (ებრ. თ. 11.
 მუხ 6).

ცნობა სულიერთა კეთილთა-თჳს.

სახელითა სულიერთა კეთილთათა იკულისხმე-
 ბიან, მაგალითად: ჭეშმარიტი ცნობა ღუთისა, შიში
 ღუთისა, თავმდაბლობა, სიმშვიდე, სიმტკიცე სარწმუ-
 ნოებასა შინა, მტკიცე სასოება ღმერთსა ზედა, სი-
 უჭარუელი ღუთისადმი და მოუჭისისა, მოთმინება მწუ-
 ხარებათა და ჭირთა შინა, მიტევება ცოდუათა და სხუა-
 ნი მაღლითნი ნიჭნი. ამა კეთილთა ვითარცა კუთვ-
 ნილთა ჩუწნისა ცხოვრებისადმი, ჩუწნ უნდა მარა-
 დის ვითხოვდეთ მამისაგან ზეცათასა, თჳნიერ ეოვ-
 ლისა იჭვისა და თჳნიერ ეოვლისა ჰირობისა.

ცნება და ჰირობითი გედრება ქუწყნიერთა კეთილთა-თჳს.

ხოლო ხორციელნი, ანუ ქუწყნიერნი კეთილ-

ნი არიან: სიმრთელე სხეულისა, მეუდროება და გრძელ-ჟამიერება სიცოცხლისა, კეთილ-შესავებულებს ჭაერისა, უხვება ნაყოფთა ქუჭრებისათა, საჭირო საზრ-რდელი და სამოსელი, საცხოვრებელი, გამოხსნა ჭირთაგან და უბადრუკებათა და სხუანი — მსგავსნი ამის-ნი. გამოთხოვა ამა კეთილთა ჩუწნ შეკვიძლიან არა სხუა გუარად, ვითარ მინდობითა აღსრულებისა ჩუწ-ნთა თხოვათთა წინასწარ ნებისა ყოვლად-სახიერისა და ყოვლისა-მეცნიერისა მამისა ზეცათასა, რომელი მომა-ტებულად ჩუწნ-ზედ „ზრუნავს“ ჩუწნთჳს (ა. ჰეტრ. თ. 5. მუხ. 7), და ჩუწნ-ზედ უკეთესად იცის, თუ რაჲ კეთილი მოგვცეს ჩუწნ ჟამიერისა და საუკუნოდსა ცხოვრებისათჳს ჩუწნისა, ისა, რაჲსაცა ჩუწნ ვსთ-ხოვთ, თუ სხუა. ხოლო ჩუწნ თჳთ „არა ვიცით, რაჲ-სათჳს და ვითარ უნდა ვილოცოთ,, (რომაელ. თ. 8. მუხ. 26). უმეცრებისა-მებრ და შორს დაუნახაობი-სა ჩუწნისა, ჩუწნ ვითხოვთ ზოგჯერ მას, რაჲცა საუნებელ-არს სულისათჳს ჩუწნისა, ანუ მოუჟანთა ჩუწნთათჳს. ზოგჯერ მაგალითებრ, ჩუწნ ვევედრებით ღმერთსა, რათა მან გამოგვიხსნას ჩუწნ მწუხარები-

საკან, უბედურებისაკან, ანუ ჭირისაკან; მაშინ რო-
დესაც ისინი მოკვევლინებიან ჩუწნ კანკურნებისა-
თვს სნეულთა სულთა ჩუწნთა. ცხადია რომ არ შეიძ-
ლება ლოცუა ქუწუნებრთა კეთილთათვს სხუა კუა-
რად, თუ არ მხოლოდ თუონით. მაგალითი სათუ-
ოღსა ლოცვისა კვანჩუწნა იესო ქრისტემან თვთ
თავსა შორის თვსსა, ოდესცა ჟამსა ვნებათა თვს-
თათა ვკედრებოდა მამასა თვსსა ესრეთ: „მამაო ჩე-
მო! უკეთუ შესაძლებელარს თანა წარმხედინ ჩემ-
გან სასუძელი ესე, ხოლო არა ვითარ მე მნებავს,
არამედ ვითარცა შენ“ (მატთ. თ. 26. მუხ. 39).

სიტყვისათვს ჩუწნო.

სიტყუასა ზედა: მამაო, ლოცუასა შინა მო-
ცემულსა თვთ იესო ქრისტესძიერ, დართულარს
სიტყუა: ჩუწნო, და არა ჩემო. ამითი ზეცური
მოძღუარნი კვანწავებს ჩუწნ მას, რომელ ვითარცა
დძერთი არს მამა ჩუწნ ყოველთა (მატთ. თ. 23.
9.); ესრეთვე ჩუწნცა მოწმუნენი ყოველნი უნდა
ვიყუნეთ ურთიერთისადმი ძმანი, და ვკედრებოდეთ
უფალსა არა ხოლო თავთა თვსთათვს, არამედ მო-

ჟჳანთათჳსცა ჩჳწნთა, ურთიერთისა თჳს, ჳსწაჳ-
ლისა-მებრ საღმრთოდასა წერილისა: „ულოცევდით
ერთი ერთსა, რათა განიკურნნეთ“ (იაკო. თ. 5. მუხ. 16).
ვინაღდგან ღმერთსა, მხილველსა მძობრივისა სიუჳა-
რულისა ჩჳწნისასა; (რომელსა დაუცხრომელად გვაძ-
ცნებს წმიდასა შინა სახარებასა), ვითარცა მამასა,
უხარისცა მისთჳს და ვითარცა განმსადებული სმე-
ნად, მსწრაფად ისმენსცა ჩჳწნსა. (იხილეთ. მართლ-
მადიდ. აღსარება, ნაწილი მეორე კითხჳა 10); გარ-
და ამისა იოანე ოქროპირი ამა საგანსაჳედა იქმს
ესრეთსა შენიშვნასა: „ვინაღდგან უფალი არა ხო-
ლო წოდებასა შინა, არამედ თხოვათაცა შინა მოცუ-
მულისა მის მიერ ღოცვისასა, ხშირად განიმეორე-
ბს სიტყჳასა: ჩჳწნო; მაშა მით გვასწავებს, რათა
ჩჳწნ, ვითარცა შედგომილთა მისთა, არა გვაქჳნდეს
ნიშანიცა განრისხებისა მოუჳასსა ჳედა; ვინაღდგან
არა რად ეკოდენ არ მიგვამსგავსებს ღმერთსა, მაშა-
სა ჩჳწნსა ჳეცათასა, ვითარ მიტევება შეცოდებათა
შეურაცხ-მეოფთა ჩჳწნთა“ (იხილეთ. წმ. იოან. ოქ-
როპ. საუბარი 19 მატთ. სახარებ. ჳედა).

სიტყვებითა: რომელი ხარ ცათა შინა, მოითხოვება შინაგანი
ადმართვა ზენად ღუთისა მიმართ.

სიტყვებითა: რომელი ხარ ცათა შინა, ემცნების
მლოცველთა არა ეკოდენ გარეგანი ადმართვა ზენად,
რადენ შინაგანი, ვითარცა უმეტეს საჭირო. გარნა
შინაგან მაშინ მივიქცევით ღუთისადმი ლოცუასა ში-
ნა, ოდესცა გონებასა და გულსა განვაძორებთ ეოვ-
ლისაგან ქუჭუნეირისა განსრწნადისა, და მივაქცევით
მათ ზეცეირისადმი, საუკუნოდსა და ღუთაებრივისა
(იხილე. ვრცე. ქრისტ. კატეხიზმო, გამოცემული
უწმიდ. სინოდისა მიერ); ანუ ოდესცა ავმაღლდებით
სულითა უმაღლეს ეოვლისა ხილულისა და ვეძიებთ
თავისა თვისასა_თვს ნათელსა განსვენებისასა, ძალსა
და ნეტარებასა მის შორის, რომელი არს ცათა ში-
ნა. ხოლო ესე ამაღლება სულისა იქმნება არა ეკო-
დენ საშუალობითა განსრასვისათა რადენ საშუალო-
ბითა კეთილმოწიწებითისა გრძნობისათა. წმიდა
კრიგორი ნოსელი, განმარტებს რა მოწოდებასა საუ-
ფლოს ლოცუისასა იტევის: „წინასწარმეტყუელმან
დავით სთქუა ერისა შინა თვისთა ფსალმუნთაგანსა:
ვინმცა მცნა მე ფრთენი, ვითარცა ტრედისანი და

აღფრინდე მე“ (ფსალ. 54. მუხ. 7). ვიკადრებ მე-
ცა წარმოვსთქუა მსგავსნი სიტყუანი: ვინ მომცემს მე
ესრეთთა ფრთეთა, რათამცა შევიძლო მე აღფრენა
ჰაზრითა ზესკნელსა სიმაღლისა დიდებისასა; რათა
მეძლოს განხსნა ყოვლისაგან ქუჭყნიერისა; . . განსვ-
ლა გარე სახლჳართა ყოვლისა მოძრავისა და ცვალე-
ბადისა, და მიახლოება იმა საუკუნოჲსა არსებისა-
დმი, იმა უძრავისა თუთ-მყოფისა ძალისადმი, რო-
მელი ყოველსავე ჰმართავს და ყოველსავე იცავს,
რამაცა მხოლოდ მიიღო მყოფობა გამოუთქმელისა
სიბრძნისაგან და ღუთაებრივისა ნებისაგან; რათა,
დასასრულ, გარე წარვაქციო რა გული ჩემი ყოვლი-
საგან წარმაჲლისა და ცვალებადისა, მეძლოს მტკი-
ცითა და შეურყეველითა კადნიერებითა შესვლა ზია-
რებასა შინა არსებისათანა საუკუნოჲსა და უცვალე-
ბელისა, და მაშინვე წოდებად მისა ტკბილითა სახე-
ლითა: მაშაო!,, (ინილე. სიტყუა წმიდისა გრიგო-
რი ნოსელისა ლოცვისათჳსვე).

საჭირო არს ხარისხეულად მოხლება გაწყობილების ძეგლ ადგ-
ლებისა ლოცვისადმი.

ვიკითხოთ, რას შეუძლიან მოიყვანოს კაცი

ლოცვისადმი, რომელიცა უნდა წარმოითქვას ესრედ აღმატებულითა გრძნობითა? შეუძლიან მიიყვანოს მისდამი განმზადებამან სულისა მისისამან, ვითარცა ჭსწერს წმიდა კასსიანე რომაელი, „ყოვლითურთ შეუწაცხება აწ მდგომისა ქუჭენიერისა ცხოვრებისა, ვითარცა მწირობისა და ფრიად შორს განმაყენებელისა ჩუჭნისა მამისაგან ზეცათასა, და უდიდესისა სურვილითა მიღტოლვა იმა საყოფელისადმი, რომელსა შინა ვიკულებთ მამულსა მისსა სამკვიდრებელსა, და არა რაღსამე ისრეთისა ქმნა, რაღცა გვეოფს ჩუჭნ უღირსად მადლისა მეობისა და მკვიდრობისა ზეცათა მამისა“ (იხილე კასსიანე რომაელის საუბრობა ლოცვისათჳს). ამა უკუჭ წახითა ქრისტიანეს შეუძლიან თჳსსა სიცოცხლესა შინა ძალისაგებრ თჳსისა ხარისხულად ჭბამვიდეს სრულებათა ყოვლადსახიერისა ღუთისათა, აღსასრულებელად სახარების სიტყვისა: „იუჭუნით თქუჭნ სრულ, ვითარცა მამა თქუჭნი ზეცათა სრულარს“ (მატთ. თ. 5. მუხ. 48). ხოლო ვინცა შთაინერგავს გულსა შინა თჳსსა სახეთა ესრეთთა სრულებათასა შეძლებისამებრ

თვისა; მას ადვილად შეუძლიან გარდასვლა სულითა თვისითა ქრისტიანებისა ცხოვრებისაგან ზეცურისა შინა საყოფელსა, ადვილად შეუძლიან ჭაზრითა თვისითა აღფრენა მისდა, რომელი არს ცათა შინა: ვინაჲდგან ღუთაება არს ადვილითა განყოფილ არს კაცთაგან, არამედ სულიერ არს, ვითარცა კეთილი ბოროტისაგან (იხილ. სიტყუა წმიდის გრიგორი ნოსელისა ლოცვისათვის უფლისა).

საზოგადო ჭაზრი მოწოდებისა საუფლოს ლოცვისა.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომელ დაწეებითი სიტყვებითა ლოცვისათა: „მამაო ჩუენო რომელი ხარ ცათა შინა“, ჭაზრისა-მებრ იესო ქრისტესა, სული ქრისტიანესი, რომელსა ნებაჲს შესვლა ლოცვითსა საუბრობასა შინა ღუთისათანა, უნდა ღირსად განემზადოს მისდა, რათამცა მეებრ ეძლოს წარმოცალდებობა წინაჲმე მამისა ზეცათასა თვისთა გრძნობათა, ვედრებათა, თხოვათა და მადლობათა. კერძოდ ვსთქუათ; მოწოდების დროს მლოცველმან უნდა ცხოველად წარმოიდგინოს წინაჲმე თავსა თვისსა: 1) ვისთან შედის იგი საუბრობასა შინა. 2) ვითა-

რის აწის თვით იგი განყოფილთა სულისათა, ჭაწრითა და ცხოვრებითა; და 3) რადსათვის ნებავს ამაღლება უსენაესისადმი ვედრებისა თვისისა, რათა იყოს იგი შესაბამი ღმრთის დიდებულებისა?

თავი მესამე.

პირველის თხრობისათვის საუფლად ღოცვისა: „წმიდა იყავნ სასული შენი“.

მოვალეობა ჩუქნი წმიდა ყოვად სასული ღმრთისა.

ერთად მოწოდებისათანა მამისა ზეცათასა, სულსა შინა ჭეშმარიტად მლოცველისასა საჭიროდ გამოჩინების კეთილმოწიწებითი გრძნობა უხილავისა განმკებლობისა მისისა, ვითარცა ყოველგანმყოფისა, და გრძნობა წმიდისა მოვალეობისა ჰატვისცემად მისა, ვითარცა თვისისა შემოქმედისა, მხსნელისა და მზრუნველისა. ხოლო აღსასრულებელად ესრეთისა მოვალეობისა მაშინვე განიღვიძებს მლოცველსა მორის სურვილი წმიდა ყოვად სასული უფლისა და

მასთანავე, გრძნობისა-მებრ თვისისა უძლეულებისა, იძობება მის შორის თხოვაცა ღმერთისადმი; რათა თუთ მან სათნო იყოს, დარჩება თუ ვითარ წმიდა ვჰყოთ უხენაესი სახელი მისი, ესე იგი, ჭეშმარიტად ვიცნობდეთ, ალგებრივ გვიუვარდეს, კეთილ-მოწიწებით ვუწოდდეთ და დაუცხრომელად ვადიდებდეთ მას გულითა და პირითა.

რადგან წმიდა არს სახელი ღმერთისა თუთ თავით თვისით?

სახელი ღმერთისა თუთ თავით თვისით არს წმიდა (დან. თ. 3. მუხ. 52), და წყარო სიწმიდისა. მის მიერ განსწმდებიან, იკურთხებიან ქრისტიანობითნი საიდუმლონი. სახელითა სამებით-ერთისა ღმერთისა აღესრულება წმიდა ნათლის-ღება ყოველსა ზედა მოწმუნესა, სახელითავე ღმერთისათა მიეცემის მიტევებაცა ცოდუათა ყოველსა ჭეშმარიტად მონანულსა. შემდგომ ხუცნიცა ფიცნი და ყოველნი უწარჩინებულესნი მოვალგობანი ყოვლისათჳს საღმრთო არიან, მისთჳს რომელ დამტკიცდებიან სახელითა ღმერთისათა. ხოლო წმიდანი სათნო-ყოფილნი უფლისანი: წინასწარ-მეტეულნი, მოციქულნი და სხუა რჩეულ-

ნი ღმრთისანი სახელითა ღმრთისათა იქმოდენ საკვირ-
ველებათა. მაშა სადაძე თუთოეული კაცო, რომელსა
უცუნია ჭეშმარიტი ღმერთი, მოვალე არს აქუნდეს
ყოველი თანამდები ჰატვისცემა და კეთილ-მოწიწე-
ბა ყოვლად წმიდისა სახელისადმი ღმრთისა, და ყოვ-
ლითა შეძლებითა წმიდა ჰეოს იგი.

ამა თხროთა ჩუწნ ვსთხროთ ღმერთსა შეწევნასა წმიდა ყო-
ფისათჳს სახელისა მისისა: ა.) სიტყვითა:

სიტყვებითა: „წმიდა იუან სახელი შენი“, ჩუწნ
ვევედრებით მამასა ზეცათასა:—მისთჳს, რათა მან
ღირს მეოს ჩუწნ წმიდა ყოვად სახელი მისი სიტ-
ვითა, ესე იგი, წარმოვსთქუამდეთ მას მარადის
კეთილ-მოწიწებითა, რომელიცა ეშესაბამების სიწმი-
დესა მისსა; და რათა დაგვიცვას ჩუწნ განსაცდელი-
საგან წარმოთქმად მისა ოდესმე ანუ ამაოდ და სიცრუ-
ით, ანუ გულ-გრილად და დაუდევრად, ანუ მოქმედე-
ბათა შინა, რომელნი მას არ ეშესაბამებინ.

ბ.) ცხროვებითა.

ვევედრებით მამასა ზეცათასა, რათა მან ღირს-
მეოს ჩუწნ წმიდა ყოვად სახელი მისი თუთ საქმი-

თავა, ხოლო მისთვის შთასთხოვს გულთა შინა ჩუწ-
ნთა ესრეთი სიუვარული თავისა თვისისადმი, რომე-
ლიცა განგვაღვიძებდეს ჩუწნ, ვითარცა ჭეშმარიტთა
შვილთა ნათლისათა, ყოველსა შინა მიებად არა
თვისსა დიდებისა, არამედ დიდებისა მამისა ზეცათა-
სა; რათა მაშინ, წარმოძქმელოთ სიტყუათათა: „წმი-
და იყავნ სახელი შენი“, ჩუწნ თუთ თავთა თვისთა-
თვის ძალ-გვედვას ჭმოწმობად, რომელ დიდება ღუ-
თისა არს უზირველესი საგანი ყოველთა ჩუწნთა
სურვილთა და განწინასუათა, ჩუწნთა წინათ-განგუ-
ლებათა და მოქმედებათა, მაგალითისა-მებრ წმიდის
დავითისა, რომელი ილოცვიდა უფლისა მიძარტ: „ნუ
ჩუწნ-თვის უფალო, ნუ ჩუწნ-თვის, არამედ სახელსა
შენსა ეც დიდება“ (ფსალ. 113. მუს, 9); ანუ მაგა-
ლითისა-მებრ თუთ უფლისა იესო ქრისტესა, რომე-
ლი იტყოდა თავისა თვისისა-თვის: „რომელი თავით
თვისით იტყვიან დიდებასა თავისა თვისისასა ეძიებენ,
ხოლო რომელნი ეძიებენ დიდებასა მოძავლინებელი-
სა თვისისასა, იგი ჭეშმარიტ არს და სიცრუე არა
არს მისთანა“ (იოან. თ. 7. მუს. 18). სხვებრ

ვსთქუათ: სიტუატიბითა ამა თხოვისათა ჩუწნ ვეკედ-
რებით მამასა ზეცათასა, რათა იგი ღირს-გუგოფ-
დეს ჩუწნ, თანაშეწევნითა მადლისა მისისათა, ფიქ-
რობადცა, სურვებადცა და ქმნადცა ეოვლისა და
ეოვლისა-თჳს სადიდებელად სხეელისა მისისასა. მოკ-
ლედ: ცხოვრებად ისე, ვითარცა ითხოვს სიწმიდე
მისი (იხილ. ვრც. კატეხ. გამოც. უწმ. სინოდისა-
მიერ, ზირველისა თხოვისათჳს). დამნახველნი ესრე-
თისა ცხოვრებისა ჩუწნისა, სხუანიცა ადიდებდენ
ღმერთსა, თქმულისა-მებრ მაცხოვრისაგან: „ეკრეთ
ბრწუენევიდინ ნათელი თქუწნი წინაშე კაცთა, რათა
იხილნენ საქმენი თქუწნი კეთილნი, და ადიდებ-
დენ მამასა თქუწნსა ზეცათასა“ (მატთ. თ. 5,
მუს, 16).

გ.) თანაშეწევნითა მოქცევასა შინა მოყუასთასა.

ამა სიტუატიბითა, აღვასრულებთ რა მცნებასა
სიყუარულისასა მოყუასიზა მიმართ ვედრებათა, რა-
თა მამა ზეცათა ღირს-მყოფდეს ჩუწნ ეოვლითა
შეძლებითა თანაშეწევნად დიდებისა-თჳს წმიდა ეო-
ვისა მისისა მოყუასთაცა შორის ჩუწნთა. გარნა

ვინააღდგან მოუჭასი ჩუწნი არს უოველი კაცი; მაშა ჩუწნი მოვალენი ვართ ამა შემთხვევასა შინა ვევედრნეთ ვითარცა ქრისტიანეთათჳს, რომელნი არიან ძმანი ჩუწნნი სარწმუნოებითა და უცხო სჯულთათჳს, ეგრეთვე ურწმუნოთათჳსცა. ა) რომელნი ჩუწნთა ძმათაგანნი განატარებენ ცუდსა და ბიწიერსა ცხოვრებასა, რომლისაგამო იგმობიან სარწმუნოება და ღმერთი ჩუწნი, ვითარცა თქმულ არს: რამეთუ „სახელი ღმერთისა თქუწნთჳს იგმობვის წარმართთა შორის“ (რომ. თ. 2. მუხ. 24.); მათჳს მოვალენი ვართ ვევედრნეთ მამასა ზეცათასა, რათა სათნოიუოს შემწე-ყოფად ჩუწნდა თჳსითა მადლითა მათისა მოქცევისათჳს; რათა შემდგომ მოქცევისა მათ შორის გამობრწუინდეს საუკუნო სიწმიდე სახელისა მისისა. ბ) მოვალენი ვართ ეგრეთვე ვევედრნეთ შეერთებისათჳს უოველთა ურწმუნოთა სამწყსოსა ქრისტესსა; რათა, ოდესცა ესენი იცნობენ ჭეშმარიტსა ღმერთსა, მათ შორისცა იდიდებოდეს სახელი ღმერთისა. მაგალითსა ამისთჳს ვედრებისასა გვიჩვენებს ჩუწნი წმიდა ეკლესია (იხილ. მესამე თხოვა კვერქისისა; მშვიდობთ უფლისა მიმართ ვილოცოთ).

თავი მეოთხე.

მეორის თხრობისათვის:
„მოკედინ სუფევს შენი“.

სუფევს მადლისა და დიდებისა.

ამა თხრობასა შინა სიტყვითა „სუფევს“, იგულისხმება სუფევა ორგუარნი: სუფევს მადლისა და სუფევს დიდებისა. ერთიცა და მეორეცა სუფევა ქრისტოიანემ, მოძღუარებისამებრ მაცხოვრისა თვისისა, უნდა გამოითხოვოს თავისა თვისისათვის მამისაგან ზეცათასა.

საჭიროება მადლითის სუფევისა.

კაცო შემდგომ დაცემისა თვისისა, იმყოფება მდგომარეობასა შინა ესრეთსა უძღუარებასა შინა სულთათ, რომელ არა შემძლებელარს თავით თვისით არცა ზრახუად (ბ. კორ. თ. ვ. მუხ. 5.), არცა ქმნა რაღსამე კეთილისა უღუთოდ (იოან. თ. 15. მუხ. 1-5);

სულსა მისსა, ვითარცა მოტესილსა ხისაკან რტოსა, არა ძალუძს თავით-თვლით გამოღება, სიტყვისა-მებრ ღუთისა, არა ვითარისამე საცხოვრებელისა ნაყოფისა, უკეთუ არა დაადგრეს ცხოველს-მოფელსა ვენახსა სედა, რომელ არს იესო ქრისტე (იოან. თ. 15. მუხ. 1-5). ცხადია, რომელ მხოლოდ შემწეობასა ძაღლისა ღუთისასა შეუძლიან ხელთ-მძღუანელობაცა კაცისა კეთილ-მსახურებითისა და სათნოებიანისა ცხოვრებისადმი, აღშენებაცა ეოფლისა შესაძლოდსა ბედნიერებისა მისისა ამა ადგილსა შინა მწირობისასა, მიუვანაცა მისი მოწოდებისადმი საუკუნოდსა ნეტარებისა. აქედგან სჩანს, თუ რაოდენი საჭირო არს და საცხოვრებელ კაცისათვის ძაღლითი დამკვიდრება მის მოწოდებულსა სეცათასა, ნუგეშინის-მცემელისა სულიისა ჭეშმარიტებისა.

შემძლებულობა მოხუცებად ძაღლის სუფიქისა.

გარნა რაოდენ არს ჩუწნ-თვის სუფიქსა ძაღლისა, ეკოდენივე შესაძლო-არს მოხუცებაცა მისი. ვინააღ-გან თვითცა ძაღალი მნებებულობს დამკვიდრებად არა ეკოდენ ხელით ქმნულთა ტაძართა შინა (საქ. მოც.

თ. 7. მუხ. 48), რაოდენ ჩუწნ შორის (ლუკ. თ. 17. მუხ. 21), რომელიცა აღიჩევს თვისსა საჯანგდ გულთა მოყუარეთა მისთასა (იოან. თ. 14. მუხ. 23); შუა კედელი ზღუდისა, მტერობა შორის უფლისა და ჩუწნსა, აწ დაიწვავს (ეფეს. თ. 2. მუხ. 14); რამეთუ ჯუარისა ზედა შეწირულისა მსხუტრზლისა ტარკისა ღუთისათა, შუამდგომელისა ღუთისა და კაცთა, აწ მოწუალე ქმნილას შორწმუნეთადმი მამა ზეცათა. მასთანავე მხსნელმან სოფლისა, შემდგომ აღდგომისა თვისისა, ამაღლდებოდა რა ზეცად, მისცა შედგომილთა თვისთა აღთქმა ვედრებად მათთვის მამასა, და მოუღინებად „მათდა სხვისა ნუკეძინის მცემელისა, რათა მათ თანა დაადგრეს უკუნისამდე, სულთ იგი ჭემდარტებისა“ (იოან. თ. 14. მუხ. 46). ესე აღთქმა მხსნელისა ზირველად აღსრულდა დღესა მეერვასესა ზირველთა შედგომილთა ზედა მისთა; აღსრულება მისი განიკრძობოდა შემდგომცა ეოველთა შინა ქრისტიანობრივთა საუკუნეთა, და განეკრძობის ვიდრე დასასრულადმდე საუკუნესა. არა ვინ არ უნდა იჭვნეულებდეს, რომელ ჩუწნსაცა დრო-

სა შინა სული წმიდა მიენიჭების ღირსთა ქრისტიანეთა, ესე იგი, ყოველთა მართლ-მადიდებლობით მოწმუნეთა და განმატარებელთა ჭეშმარიტად ქრისტიანებრივისა ცხოვრებისათა: ვინაჲღვან წინასწარ-მეტყუელის სიტყუაჲცა ამა საგანსა ზედა ფრიად ცხადარს: „მიუფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ხორციელსა“ (რომლ. თ. 11. მუხ. 28); თუთ ღმერთა კაციცა ეკოდენვე ცხადად იტყვის აძისთჳს წმიდასა შინა სახარებასა: „უკეთუ თქუწნ უკეთურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუწნთა, რაოდენ უფროს მამამან ზეცით მოჰსცეს სული წმიდა, რომელნი სთხოვდენ მას“ (ლუკ. თ. 11. მუხ. 13). ხოლო საშუალობანი მოხარებისათჳს ნიჭთა სულისა წმიდისათა არიან: გულს-მოდგინებითი ლოცვა და საიდუმლონი ეკკლესიისანი (იხილ. ვრც. ქრისტ. კატ. მეორე თხოვისათჳს).

ცნება მადლითის სუფევისათჳს ღუთისა სულთა შინა ქრისტიანეთასა.

სუფევისათჳს ღუთისა მადლითისა, გვამცნებს

ჩვენ მოციქული ჰავლე, მწოდებელი მისი „სიძარტ-
ლედ, მშვიდობად და სიხარულად სულითა წმიდითა“
(რომ. თ. 14. მუხ. 17). სიძარტლისა ანუ განძარ-
ტლების მიწთაჲ ქრისტიანეს შეუძლიან მაშინ,
ოდესცა ერთის მხრით ყოველის ზომით ეცდება, რა-
თა არა უტეოს „ცოდვასა ჰსუფევად მოკუდავსა შინა
ხორცსა მისსა“ (რომ. თ. 6. მუხ. 12), ხოლო მეო-
რეს მხრით ყოველითა გულითა შეუდგება ჰსჯულსა
ღუთისასა, „და სჯულსა მისსა ზრახუნ იგი დღე და
ღამე“, ესრეთსა შემთხვევასა შინა იგი, „ვითარცა ზე
დანერგული თანა წარსადინელსა წყალთასა, რომელმან
გამოსცის ნაყოფი მისი ჟამსა თვისსა,“ (ფსალ. 1.
მუხ. 2. 3), თანა-შეწევნითა ზეგარდამო, ძალ-უძს
წარძარტებად გზასა მცნებათა უფლისათა, და აღორ-
ძინებად სიუწარულსა შინა ღუთისადმი და მოეჴსისა;
ხოლო აღორძინებისა-თანა, გამოღებად ნაყოფნიცა
სულიერნი (გალატ. თ. 5. მუხ. 22), რომელსა ში-
ნა მდგომარეობასცა სიძარტლე. გარნა ერთად სიძარ-
ტლისა-თანა დაემკვიდრების სულსა შინა ქრისტიან-
ისასა მშვიდობაცა ღუთისა, რომელი აღებატების

ყოველსა გონებასა: ვინაჲდგან ღმერთი, წყარო და მოძვედელი ამა მშვიდობისა, აღიწევს საჯანედ თჳსად სულსა, რომელსა უუვარს იგი და იძარხავს მისთა მცნებათა (იოან. თ. 4. მუხ. 23), ესე იგი სულსა მართალსა. ერთადვე სიძარტლისათანა სული ქრისტიანისა აღივსება ეგრეთვე სინაწულითაცა სულისა მიერ წმიდისა, სინაწულითა აღუძღვრეულითა და წმიდითა, რომელი გამოძინარებს წმიდისა წყაროჲსაგან სარწმუნოებისა და კეთილთა საქმეთასა, და მტკიცისა სასოებისაგან აღსრულებასა ზედა აღთქმათა, რომელნიცა ეკუთვნის ღმერთისა მსახურთა ამას შინა და მერძესა მას (ა ტიმ. თ. 4. მუხ. 8).

საზოგადო ვალი ქრისტიანეთა მიღებულად მოხუებისადმი მადლის სუფევისა, და მის გამო ვედრებადცა მისთჳს.

ვიცით რა ერთის ძნლით, თუ რაოდენსა შესაძინელსა შეადგენს ქრისტიანისათჳს სუფევა მადლისა, და რაოდენ დიდი საჭიროება აქჳს მას მას შინა მიხეზისაგამო სულიერისა თჳსისა უძღურებისა; ხოლო მეორის ძნლით, ვიცით რა ისიცა, რომელ

სიმდიდრითა მადლისა ღმერთისათა ყოვლისა მოწმუნისათჳს შესაძლებელჲს მოჰოება ამა ძვირ-ფასისა შესაძინელისა, — ჭეშმარიტებით ყოველი ჩჴსნიკანი თანამდებჲს „ძიებად უწინარეს“ ყოვლისა და უძეტეს ყოვლისა „სასუფეველისა ღმერთისა და სიძარტლისა მისისა“ (მატთ. თ. 6. მუხ. 33.); თანამდებჲს ყოვლის ღონის-ძიებით მეცადინეობდეს, რათა როგორმე მისწვდეს ისრეთსა მდგომარეობასა სიწმიდისა და უბიწოებისასა, რომელსა შინა სულსა მისსა ეძლოს ყოფნა ტაძრად ღმერთისა, ისრეთსა მდგომარეობასა შინა, რომელსა შინა წინასწარმეტყჴსლსა დაუთხარნიერებით ეძლო დაღაღებად უფლისა-ძიებად: „განმსადებულჲს გული ჩემი, განმსადებულჲს, ღმერთო!“! ძარტლადაც, როგორ შეიძლება რომ ქრისტოანემ არ ეძიოს ესე სუფევა, როგორ არ უნდა განამსადოს თავი თჳსი ჭურად მადლისა, როგორ არ უნდა მიიუღტოდეს ყოვლითა სულითა წყაროდ-სადმი წელისა ცხოველისა, ესმოდეს რა წოდება თჳთ იესო ქრისტესი: „უკეთუ ვისმე ჰსწეუროდეს მოვედინ ჩემდა და სუემდინ“ (იოან. თ. 7. მუხ. 37.); როდე-

საც მას, „მაშურალსა და ტვრთ მძიმესა, (მატთ. თ. 11. მჭხ. 28) სამწუნაროსა გზასა ზედა ამა ცხოვრებისასა, მხოლოდ ამა წელითა ძალუმს დაძრევად სიცხისა ვნებათა თვსთა, და მას შინა მხოლოდ მოპობად სიგრილისა, განცხოველებისა და განსვენებისა სულისა თვისისა. საცნობელარს ამისგან თუ ვითარითა ძალითა და გრძნობითა თვთოეული ქრისტიანე მოვალესარს ეოველ დღე აღაძალლებდეს ზეცათა მაძისადმი ამა ძრავალ აღმნიშვნელობითსა თხოვასა: „მოვედინ სუფევა შენი“; თანასწორ ვითარცა უწეებულსაცა უწარჩინებულესსა ლოცუასა იმავე ჭასრისასა! მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისძვემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ეოველგან ხარ და ეოველსავე აღავსებ მაღლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ ჩუწნ შორის, და წმიდა მეუწნ ჩუწნ ეოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნე, სახიერო, სულნი ჩუწნნი.

ნიძანთა-თვხ მაღლითისა სუფევისა ღუთისა.

მეძიებელნი სუფევისა ღუთისა და მავედრებელნი მოსვლისა-თვხ ძისისა არ უნდა ფიქრობდნენ,

რომელ მას ეძღოს მოსვლად მათდა, ანუ დაძვირ-
რებად მათ შორის, შესანიშნავის სახითა. ერთხელ
ფარისეველთა ჰკითხეს ქრისტე მაცხოვარსა: „ოდეს
მოიწიოს სასუფეველი ღმრთისა? მიუგო იესომ და
ჰრქუა მათ: არა მოვიდეს სასუფეველი ზმნით, არცა
ჰსთქუან: აჰა აქა, ანუ იქი, აჰა ეგერა სასუფეველი
ღმრთისა შორის თქუწნსა არს“ (ლუკ. თ. 17. მუხ.
20). გარნა ყოველსა ქრისტიანესა, მადლითა განა-
თლებულსა, შეუძლიან უეჭველად დაერწმუნოს მეო-
ფობასა შინა თჳს შორის სულისა წმიდისასა მოქმე-
დებათა-მებრ მისთა, მსგავსად მისა, ვითარცა ხე
საცნაურ-არს ნაყოფთაგან. „ყოველმან ხემან კეთილ-
მან, ნაყოფი კეთილი გამოიღის, ხოლო ხემან ხენემ-
მან ნაყოფი ხენეში გამოიღის. ვერ ხელეწიფების
ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად და არცა
ხესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად“ (მატთ. თ. 7.
მუხ. 18). ხოლო ნაყოფნი სულისანი არიან: სიყუა-
რული, სიხარული, მშვიდობა, სულ-გრძელება, სიტ-
კობა, სახიერება, სარწმუნოება, მეუდროება, მარხვა,
მოთმინება „(გალატ. თ. 5. მუხ. 22).

ძალისაჲმებრ მეორისა თხოვისა საუფლას ლოცვისა ბრძანე-
ბულას ჩუწნდა მიღტოლვად, ზეცისაჲცა სუფიქისადმი, და კედ-
რებად მიხთვს.

თუნიერ ძაღლითის სუფიქისა ამა თხოვითა
ძორწმუნე, სწავლისაჲმებრ წმიდათა მამათა ეკკლესი-
ისათა, გამოითხოვს ღუთისაგან მასცა სუფიქისა,
რომელსა ღირსიქმნიებიან მართალნი მეორედ მოს-
ვლასა ქრისტესსა, ოდესცა იესო ქრისტე ეტევის
მათ: „მოვედით კურთხეულნი მამისა ჩემისანი, და
დაიკვიდრეთ განმისადებული თქუწნთვს სასუფიქელი
დასახამითგან სოფლისათ“. (მატთ. თ. 23. მუხ. 37).
ვედრებაცა ამა სავნისათვს, ძორწმუნის მხრით, არს
საქმე ბრძნისა მისა ძაღლისა, ვითარცა გამოჰსთქუამს
მას წმიდა იოანე ოქროპირი; „ესრეთი ძე არ მისა-
ურობს გულსა არა რასამე ხილულსა, ჰრისცხს უოვე-
ლსა აწმდგომსა ამოებად და მიიღტვის მხოლოდ
ზეცოერისა მამისადმი და დაიკვიდრებისადმი მუობად-
თა კეთილთა“ (ინილ. იოანე ოქროპირ. მეთცხრბ-
მეტე საუბარი მატთეს სახარებასა ზედა). ზეცოე-
რისა სასუფიქელისადმი მიიუღტოდა ოდესმე სული
მოციქულთა თავისა ჰავლესი, რომელი იტეოდს

მოდღურება ჰირჭლი
მისთვის, თუ ვითარ ახწავებს სიტუა ღუთისა
ბედსა ზედა ცხოველთასა.

„ძნელი შეიქმნა ჩუწნი დროება“ ხშირად ამბობენ ახლა; „ეს
საქმე იყო ძველ დროებაში?“ ამ სიტუაქებში არის სიმართლე და
არის უსამართლოებაც. არა ადვილი შეიქმნა ცხოვრება იმ დროები-
დგან, როდესაც კაცთა დაიწეს შეცოდება; კინადგან უფალმან დაგუ-
საჴა ჩუწნი ცოდვისათვის მოძალაპოთა და ხშირად უმადლო შრო-
მითა. და ყოველათვის სწუხდნენ კაცნი ძნელს დროებაზედ: წუხდნენ
ჩუწნი მამანი და პაპანი, სწუხდნენ წინაპარნიცა, ყოველნი მოიხე-
ნებდნენ კეთილსა ძველსა დროებასა. ხოლო რდეს განკვკრეტთ ძვე-
ლსა დროებასა, მაშინცა ვისმენთ ჩუწნი კაცთა ოხვრასა; ვინილაკთ
ცრქვილთა ცოდვილთასა, და ვსცნობთ ჩუწნი, ძმანო, რომელ კეთი-
ლი ძველი დროება ფრად შორს არის ჩუწნიგან. ის იყო სამოთ-
ხესა შინა ღუთისასა, როდესაც კაცნი იუჴნენ უცოდველნი (ანუ
უბრალონი). მახლობელი ჩუწნიდა, ძმანო, ჩუწნი დროება არ არის
ძლიერ უჩიგო; იყო მას შინა კეთილი, მაგრამ მრავალი მწუხარე-
ბაც მოუტანა ერსა. მოვიხსენოთ თუგინდ მრავალთა მილიონთა
ყმებთა, ჩუწნი ძმათა, განთავისუფლება. უადვილესად ამოიხრეს
ჩუწნის კეთილს დროებაში ჩუწნითა შხრდელთა გლეხთა. წამოვი-
და მძვიდობა და სიყვარული ტახტისაგან მეფისა; სურს ჩუწნს მე-
ფესა, რათამცა ყველა მისმა ქუწუკრდომმა იცხოვროს ადვილად,
რათა უფროსთა არა შეაკვიწროონ უმცროსნი ყოველნი საქმენი

კეთდებოდნენ ხიმატლითა ღუთისათა და ქრისტეს სიყვარულითა. ხოლო კეთილთა პირთა გამოიდგეს ცხრკელთათჳსცა თავი. მოიხსენეს, რომელ უნდა შეიბრალონ პირუტყვნიცა, რომელნიცა გვემარებოიან ჩუჴს შრომათა შინა, და არა მხოლოდ მომუშავე პირუტყვთა, არამედ ყოველთა მიჯინველთა და მხეტთა, და არც განსაკვირველია: როდესაც გული გუჴაქუჴს დაწყნარებულად და სული დამშვიდებული, მაშინ მზა ვართ ყველა შევიყვაროთ და მხეტთაცა შეურიგდეთ!

ვამბობ: ერთა მოიხსენეს ცხრკელნიცა, სხუჴა ქუჴსენებში დიდი ხანია, რომ ზრუნვენ ცხრკელთათჳს, რათა შეასუბუქონ წილი მათი. ჩუჴსნს მხარეზედაცა (*) მთავრობამ და კეთილთა პირთა შეადგინეს საზოგადოება და შეკრებოიან იგინი სალახარაკოდ მას ზედა, თუ როგორ შთაავონონ ერთა კეთილად მოქცევა ცხრკელთადმი, რათა დაარკონ ფიტხელნი ვაცნი, რომელ მათ უნდა შეიბრალონ არა მარტო პირუტყვნი, არამედ ყოველივე ქმნილება ღუთისა.

კეთილი საქმე მოიფიქრეს მათ. უფალმან აკურთხონ მათი შრომა და შემწეყოს მათ. ხოლო ჩუჴსნ, მწუემსნი სულისა თქუჴსნისანი, მოვალენი დარჩებად ყოველთა შინა, რადცა პატროსან და მართალი არს ღუთის წინაშე, არა შეგვიძლიან არა ვსთქუჴათ ჩუჴსნის მხრით რადმე შევიწროებულთა ცხრკელთათჳს. სიტყვითა ღუთისათა ვეცდები მე, ძმანო, აღგისხნათ თქუჴსნ, რომელ შებრალება ცხრკელთა არის ზნეობითი ვალი ყოველთა ვაცთა და ქრისტისანეთა.

პირველად, ძმანო ჩემო, გამოვიკვლიოთ დაბადებისა ანუ ღუთის სიტყვისაგან სწავლა ბედსა ზედა ცხრკელთასა, — ვახვენოთ როგორ ანუ რისათჳს, შექმნა რა ღმერთმან ცხრკელნი, მისცა

(*) არის ნათქვამი ოდესაში, სადაცა დაწესდა საზოგადოება ცხრკელთათჳს მზრუნველობისა (Общество состраданія къ животнымъ).

მათ ზედა უფლებას კაცსა, თუ როგორ დაჯიქარგა კაცმა ესე უფლებას, როგორი სამწუხარო არის ახლა მდგომარეობა ცხოველთა ქრისტიანთა ზედა, ექმნება დასასრული ქმნულებათა წაღებასა, ანუ როგორი ექმნება დასასრული? ყოველადსასიერსა ღმერთსა არა ვითარძე არ შეუქნია წუხილის და წაღებისათჳს. მიანიჭა რა თჳსთა ქმნულებათა სიტყვებელს, მას სურდა, რათა ყოველსა ცხოველსა უხარდეს და იყოს ბედნიერი თჳსებრ, ე. ი. ზომისა-ებრ თჳსთა ძალთა და საჭიროებათა. დაბალნი ქმნულებანი მან დაუმორჩილა ძალათა, — უგონონი — გონიერთა, ყოველი ქმნულება ქრისტიანისა მისცა სამთავრობელად კაცთა: „და შექმნა ღმერთმან კაცი, იტყვის საღმრთო წერილი, სატად ღმერთისა შექმნა იგი, მამა კაცად და დედად კაცად შექმნა იგინი. და აკურთსნა იგინი ღმერთმან მეტყველმან: აღმარდით და განმრავლდით და აღასკეთ ქრისტიანთა და უფლებდით მას და მთავრობდით თჳსთა ზღვისათა და მიწისუფლთა ციხათა და ყოველთა ჰერუტუკთა და ყოველსა ქრისტიანთა და ყოველთა ქრისტიანთა ზედა.“ (შექმ. ა, კვ. კლ). ნუ იფიქრებთ, ძმანო, რომელ მისცა რა ღმერთმან კაცთა უფლებას ცხოველთა ზედა, ვითარძე მით შექმნოს კაცსა მოქცევა ცხოველთადმი, როგორათაც მას სურს. უფლებას არ არის მტანჯველობა. უკეთურთა ერთა ქმნებს უფლებებისაგან რაღაც საშიშარი. კაცთა მიტყუებას უფლებას ცხოველთა ზედა მისთჳს, რომ იზრუნონ მათთჳს, ვითარცა გონიერმან უგონოთათჳს და საჩუკებლობდეს მათის შრომითა იმ ზომით, რომ არა მოაკვდინოს ბედნიერება მათისა ცხოვრებისა. კაცსა არა აქნდა უფლებას ჰერუტუკთა დაკვლისა და მათის ხორცის საზრდოდ სმარებისა: იგი უნდა ზრდილ იყოს მტყნარის საჭმელითა (შექმ. ა, კთ), ამისთჳს ცხოველნიცა სედვიდენ შეუტოდებელსა ადამსა შინა კეთილსა უფალსა და კეთილ-მოქმედსა მასპინძელსა; და მხეცნიცა დაემორჩილებოდნენ მას, ღმრები და მკვლები თამაშობდნენ წყნარად იყრბთა მისთათანა.

შესტოდეს კაცთა და წესი ქრისტიანთა ზედა დაიწესა, ცოდვას-

მან უშვერ-ჭყო კაცი, არღარა დარჩა მასთანა მშვიდობა სულისა და თავისუფლება, რომელნიცა აქუნდათ მათ ვინემდის შესცოდანდენ, — და ცხოველნიცა აღარ დაემორჩილნენ მას. დაჭკარგა სამოთხე და ნეტარება კაცმან, დაჭკარგეს თჳსი ბედნიერება ცხოველთადაცა. ადამსა დაუწიეს მზერა არა ვითარცა უფალსა, არამედ ვითარცა მტერსა თჳსსა. განიბნივიენ მისგან პირსა ზედა ყოვლისა ქრისტესანისასა, ეძიებდნენ რა მუნ ბინასა, სადაცა არ იუჴნენ კაცნი. მხეცნი უძლიერესნი და უდიდესნი ცხადად მტერობენ და აღსდგებიან წინააღმდეგ კაცთა; ხოლო ცხოველნი უღონონი მიწიან მისგან კიდრე აქამოდ. არა მრავალნი ცხოველნი დაშთნენ ჩუჴნთანა წყნარად და შინაურად, და მათცა ვსტანჯავთ ჩუჴნ.

ბევრი, ბევრი დროება გავიდა კაცთა შესცოდებისგან, და მხოლოდ შემდეგ წარღვნისა, სცნა რა ღმერთმან უძლიერება კაცთა, უკურთხა მათ საჭმელად ხორცი ცხოველთა (შექ. თ. გ); გარსა ყოველთჳს შთაგონებდა კაცთა შებრალებასა მათსა, მაგალითებრ: სჯულსა შინა მოსესსა ვკითხულობთ: „არა აღუგრა პირი ხარსა ძლეწკელსა“, — მისთჳს, რათამცა ლეწდეს რა, შეეძლო მას ჭამაცა. მეორე სჯული ვკითხრობს: „თუმიცა გზასა ზედა ჭზოვო ბუდე ძივრინკელთა და დედა ძჯდომარე მართკეთა ანუ კვერცხსა ზედა, ნუ აღმოიყვან დედასა შვილებითურთ, შენ მიუცილებელად უნდა გაუშვა დედა, ხოლო ბლარტები (ანუ მართკენი) შეგიძლიან წაიყვანო“ (შექ. კბ, კ. 9). კიდევ მეორე სჯული ბძანებს: „ნუ ხნავ ხარითა და ვირითა ერთად“ (ი), რასაკვირკელთა მისთჳს, რომ არა ერთგვარია ღონე ხარისა და ვირისა. თჳთ დაკვლა ცხოველთა სამსხვერბლოდ ანუ საჭმელად აქუნდათ მინდობილი სჯულისაებრ კაცთა ღმთისთა, განსაკუთრებით გამორჩეულთა მისთჳს, რომელნიცა დაკვლიდნენ რა ცხოველთა, არა შეაწიხებდნენ მათ: მათ იცოდნენ თუ რომელი მარღვი გაეჭრათ, რათა ცხოველი მომკუჴდარყო თითქმის მიძინებით.

ვითარნი არს ეხლა ძდგომარეობა ცხოველთა? თქუჴნ თჳთონ

იტით, ძმანო, რომელ მდგომარეობა მათი არის ცუდი; კელურნი და შინაურნი ცხოველნი ერთად იტანჯებიან. „უწუით რამეთუ უოკელი დაბადებული ჩუწნთანა კუნესის და თანა-ელმის მოაქამოდუ. (რომ. 8, კვ). გარეულნი ცხოველნი იტანჯებიან ხან შიმშილისაგან, ხან ცუდი ტარებისაგან, ხან სნეულებისაგან, ხან მჭამელთა მხეტოაგან. ხოლო შინაურნი ცხოველნი ხშირად განუყოფენ მძიმესა წილსა თვისსა ზატრონსა. შესედეთ როგორ ცხადად იხილვების ხილარბე და მძიმე მომადურებელი შრომა ღარიბისა მუშაკისა (კატისა) მისს ცხენსედ, რომელიცა არის გამხმარი, კისერ-დაღუნული, თკელ ამღვრეული. შესედეთ, როგორ თავის-მომულებით მიხდევს ღარიბს ზატრონს თავისი მართალი ძაღლი, თუმიცა ხშირად არა მიუღია მისგან არცა ერთ ნამცეცე პურისა, არამედ ლოკვიდა ძვლებისა ქუჩებსა შინა ზოებულსა. იტვირთვენ ვამბობ, ცხოველნიცა მწუხარებასა, ვითარცა ჩუწნ. იტანჯებიან, დამონებულ-არჩიან ამაოებისა და სწწ-ნილებისადმი, ვითარცა ჩუწნ. — რაღსათვის იტანჯებიან იგინი, რამეთუ ამაოებასა დაემოჩილა დაბადებული, არა ნებსით, იტყვის მოციქული, არამედ მის მიერ, რომელმან იგი დაამოჩილა“ (რომ. 8, კა). ჩუწნ ვართ, ძმანო ცოდვილნი, ჩუწნის ცოდვისათვის სწწ-ლობენ ცხოველნიცა! ძნელი ჭეშმარიტება არის, ესე! ექმნება ოდესმე დასასრული ამ წვალებისა? ექმნება, იტყვის იგივე მოციქული; „რამეთუ იტვი იგი დაბადებისა გამოჩინებასა შვილთა ღუთისათა მოელის“ (რომ. 8, კა). დასრულდება წვალება ცხოველთა, ოდესაც დასრულდება წვალება კეთილთა კაცთა დიდების მეფობასა შინა მეორე ცხოვრებისასა. მაშინ მოვიდეს მგელი კრავთათანა და კეფ-ხვი თიკანთა თანა განისვენებდეს, ამბობს უფალი ზიროთა წინასწარ-მეტყუწლისათა, რომელიცა გამოსატავს მეფობასა დიდებისასა; „და ზვარაკი და ლომი და კურღ ერთად მოვიდნენ და ერთმან მან მტირემან მოიყვანნეს იგინი, და ხარა დათვისათანა მოვიდნენ, მათთანა იყუნენ ყრმანი მათნი, ლომი ვითარცა ხარა ბზესა სჭამდეს, და ყრმამან მტირემან. ხურელსა ზედა აქვატისასა და ხაწოლსა ზედა ნაშობთა ახპიტისათა ხელი დახდკას“ (ის. ია, ვ-თ).

მწუხარე გულსა ქრისტიანისასა ანუგეშებს მოლოდება საუკუნო ცხოვრების ნეტარებისა, გარნა აქაცა ყოვლის მხრით ცდილობს შესუბუქოს თვისი ვაება. სასიხარულო არის ჩუქნთვს მოლოდება დიდების მეფობისა, ვინააღგან მაშინ ქმნულებანიცა განთავისუფლებიან სრწინისაგან, ამისათვის რომ ჩუქნი ქუჭყნიერა ცხოვრება არის მომზადება საუკუნო ცხოვრებისა. ვითარე იქმნება ესე მომზადება, თუძცა ჩუქნი ფიცხლათ მოკეპურობით ცხოველთა? ფიცხლთა გულსა შეგვიყვანს ჩუქნი არა მეფობასა შინა მშვიდობისა, სიყვარულისა, და ნეტარებისასა; არამედ მეფობასა შინა სიძულისა, ბოროტისა და წვალებისასა.

ყოველივე ზემოთქმული, ძმანო, მოგვიყვანს ჩუქნი შემდგომი ჭეშმარიტებისადმი:

1) ცხოველნი არიან ღუთისაგან შექმნულნი, მაშა სადამე ჩუქნი უნდა გვეძინოდეს ფიცხლად მოპურობისათვის მათდა. ღმერთი მოგვიკითხავს თავის ქმნულებათათვის.

2) ღმერთმან მოგვცა მათ ზედა უფლება არა მისთვის, რათამცა ვსტანჯვიდეთ მათ, არამედ რათამცა ვზრუნვიდეთ მათთვის.

3) თუძცა ცხოველნი არა დაგვიმორჩილდებიან ჩუქნი და აღსდგებიან ჩუქნი ზედა, ამასი ჩუქნი ვართ დანაშაულნი. სოლო ვინააღგან დანაშაულნი ვართ, მაშა სადამე უნდა შევიბრალდეთ ცხოველნი.

4) არა მიმხედველნი ჩუქნის შეცოდებისათვის, რომელნიმე ცხოველნი მაინც კიდევ გვემსახურებიან ჩუქნი და მონაწილენი არიან ჩუქნთა შრომათა და ბნელს ბედსა შინა. ამისთანა ცხოველთა შებრალებასა გვამცნებს თვით გრძნობა და ძალი სიძარტლისა.

5) ცხოველნი იტანჯებიან ჩუქნის ცოდვისათვის, ამან უძეტესად უნდა განაღვიძოს ჩუქნიში სიწესვილი და შებრალება უბრალდითა ცხოველთა.

საზოგადოდ, ძმანო უნდა შევიყვარეთ ცხოველნი, და იგინი მოგვიახლოვდებიან ჩუქნი; ცხოვრებისაგან წმიდათა ღუთისათა ვიცით ჩუქნი, თუ ვითარე დაემორჩილებოდნენ საშიძარნი ღოდნი წმი-

დათა მკუდაბნოეთა და მოწილად ემხარებოდნენ მათ. და ეს-
რეთ, აი რა მოგვიბრუნებს ჩუქნი უფლებასა თუთ კელურთა ცხო-
ველთა ზედაცა: წმიდა ცხოვრება-გსურსთ, რამ არ გეშინოდესთ
მხეტთა და მხეტთა თქუნი არ ეშინოდესთ, იუვენით კეთილნი
ქრისტიანნი.

რუს. — დარისჴან დამბაშიძე.

(შემდეგი იქმნება.)

მოძღურება,

თქმული სოფელს ბაკურციხეს, შემდგომ მიცე-
მისა, უ. ტფილისის გუბერნატორისაგან, სიღნაღის
უფლის სოფლების მამასახლისთა და მსაჯულთადმი
ახლად გამოცემულის ნიშნებისა. ივლისის თ-ს დღე-
სა, 1866 წ.

პატრიარქულნი ახლად დაწესებულნი სოფლების მამასახლი-
სნი და მსაჯულნი!

დღეს აღსრულდა სამღვთო ნება ყოვლად-მოწყალისა ხელმწი-
ფე იმპერატორისა ჩუქნისა თქუნი-ზედა, და გებოდათ მისი ბრძა-
ნებითა ახალი ნიშანი. რას ნიშნავს ეგო ნიშანი თქუნი-თჴსა? იცით
რა ძალი აქუნი მაგასა? იცით რაგორ უნდა მოინძაროს თუთოყულ-

მან თქუწნ-განმან ტვირთვა მაგის? — ამაზედ მე, ვითარცა მწყემსი ქრისტეს სამწყობისა, მოვალეობისა და შეძლებისა-მებრ, განვიმარტავთ შეძგომისა:

თქუწნ ხართ ახლად აღმოჩენილი ერთ-მოდეთა თქუწნთა-გან, რათამცა განსაჯოთ მათ შორის ყოველივე საქმე, და მიაგოთ თვთოეულსა კაცად-კაცადსა მსჯავრი საქმეთა-ებრ მათთა. ხოლო ნიშანი ეგე დღეს თქუწნდა მოცემული ვითარცა სახე თვთ მხურობისა ხელმწიფისა ზედ-წარწერითა უნდა იქონიოთ ყოველის სიმართლის დასაცველათ საზოგადოებაშია, უბიწოთ სამსახურისა, და ზიურთხებულად სამართლის მიცემისა-თვს. ნიშანი ეგე შეემსგავსების მას ტალანტსა, რომლისა-თვსცა თქმულ-არს წმიდასა სახარებასა შინა. რადგანაც შევამსგავსეთ ნიშანი ეგე სახარებაში თქმულს ტალანტსა, მამ თქუწნცა მიუცილებლად თანა-გამსთ, რათამცა მოიმართოთ ეგე კეთილად ყოველსა დროსა, და შესძინოთ „სხუცა მრანალი აღნადგინებით-ურთ“ ესე იგი თქუწნ უნდა მოიქცეთ საზოგადოებაშია სამაგალითოს ყოფა-ქცევითა თქუწნითა; აღმოჭვებრათ მათ შორის ყოველი სახეებელი და საუბედურო ქცევა, და დამკვიდრებულ-ჯყოთ მათ შორის მუდმისი კეთილ-მდგომიერობა, და მით განამართლოთ მოლოდებს მთავრობისა. უკეთუ თქუწნ-განი ვინმე მოიმართებს აწმყოსა თანამდებობასა თვსსა წინააღმდეგ ჭსჯულისა, და მსგავსად სახარებაში მოხსენებულის, „ტალანტის დამოუღველის მიწასა შინა“ — დაჭუარავს ნიშანსა მაგას, ესე იგი, უკეთუ ვინმე თქუწნ-განი არ მოიქცევა თავის თანამდებობაშია ჭსჯულისა-მებრ, და არ შესძინებს მრავალსა კეთილსა სარგებლობასა თავის საზოგადოებასა, მამულსა, და ტანტსა, — იგი მსგავსად „მიწაში დამოუღველის ტალანტისა მიეცემა სასჯელშია“, როგორც ამას ქუწყანასა ზედა, ეგრეთვე ცათა შინაცა.

ამის-თვს მარადის მოიგონებდეთ ვაღდებულებასა თქუწნსა, თუცით აღთქმასა, და თვთ აწინდელსა დღესა, რომელსა შინაცა თვთ მმართველი ღუბერნიისა ამის არის თქუწნ-თანა, და ამის ხე-

ღითა სამსჯავროდ თქუენ მიიღეთ ზირდაპირ ტალანტი ეგე არა
თუ დასაფლველად მიწაშია, არამედ აღმოხსენად და გამოსაღებუ-
ლად კეთილთა საყოფთა სასარგებლოდ მამულისა და კეთილმდგო-
მარეობისათვის თანა მოძმეთა თქუენთა.

თქუენცა ახლად განთავისუფლებულნი მებატონეთ მონებისა
გან მსაჯულნი! ამა ახლის თქუენის ცხოვრებისა დროსა ხართ
მოკალენი აღასრულეთ ყოვლის შიშითა და კრძალვითა ბრძანება
ხელმწიფისა. თქუენ ახლისა ამის თქუენის ცხოვრებისა დღიდგან
უნდა იყუნეთ მშვიდნი და წყნარნი ზნეობითა და ქცევითა; უნდა
გულსმოდგინედ აღასრულეთ განკარგულება მთავრებისა ყოველს
შემთხვევაშია, და გაქუნდეთ სათანადო ჰატივისცემა მეფეთა თქუენ-
თა მებატონეთა, რომელთაცა ყოვლის უარსუთქმელად, ერთსა
ოდენ ხელმწიფის ბრძანებაზედა, განგათავისუფლებთ თქუენ თვის
საუკუნოდ მონებისაგან; უნდა „გოყვარდეთ ესენი“ ყოვლის სათა-
ნადოს ჰატივისცემითა, რათამცა თქუენცა „შეუვარებულქმნეთ
ღმრთისაგან“ —

მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი გიძლოდეთ ყოველ-
სა საქმესა შინა თქუენსა. ამინ!

მღუდელი იოელ ხ ა ტ ი ე კ ი .

მ ზ ე (*).

უწინარეს მზის აღმოსვლისა ქუენყანსა ჭუარავს სიბნელე
და ღამე: ხოლო როდესაც აღმოვაღს მზე — ბნელი განქარდების

(*) წიგნისაგან „სულიერის სუფჯისა“ (Сокровище духовное).

და აღმოაჩინდებიან ნათელი. ესრეთვე კიდრე მოსულადმდე იქნა ქრისტესა მზისა სიძარტლისა აჩრდილსა გარემოცვა სოფელი და ბნელი ღამე იყო ქრისტესანსა ზედა: ხოლო როდესაც აღმოაჩინდა ესე უტკბილესი მზე და განუტევენ უთბილესნი შარავანდედნი თჳსნი ყოველსა სოფელსა; დახდგა კეთილსასიამოვნო და უტკბილესი დღე სულისა ჩუქნისათჳს. მაშინ აღესრულა სიტყუა წინასწარმეტყუელისა: „ერი რომელი სხდა ბნელსა იხილა ნათელი დიდი, და მსხდომარეთა ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა ნათელი აღმოაჩინდა“ (ისაია 9, 2).

წინაშე მზისა, ბრწყინვალისა ზეცით, ყოველი კაცი კალს, და მზეტა ხედავს ყოველთა თჳთოეულად; ეგრეთვე ყოველი კაცი კალს წინაშე ღუთისა ყოველგანმყოფისა და ყოველთა მხედველისა, და კინც რასამე იწყობს, იქმს, წინასწარგანიგულებს და რომელსა საგანსა ზედაც განიზრასავს, — თუაღნი უფლისანი ყოველსავე ხედავენ. „ზეცით მოხედნა უფალმან და იხილნა ძენი კაცთანი. გამზადებულთ სამკვიდრებელთ თჳსით, მოხედნა ყოველთა ზედა და მკვიდრებულთა ქრისტესანისათა. რომელმან დაბადნა მხოლოდ გულნი მათნი რომელმან გულისსმაჴუენის ყოველნი საქმენი მათნი“ (ფსალ. 32, 13-15). ესრეთ წინაშე ღუთისა მავალთა ვითარცა ყოველთა მხედველისა და მიმცემელისა თჳთოეულისა სკლისაებრ თჳსისა, ჩუქნდა ჯერაჩს შიშითა და კრძალულებითა სკლამ და ქმნად იგი რამცა სათნოყოფოდეს წმიდასა ნებასა მისსა, რათა არა განვარისხეთ სახიერება მისი. „ეკრძალებოდეთ უკუჩქ ვითარძი განკრძალულად ჳხვალთ, ნუ ვითარცა უგუნიური, არამედ ვითარცა ბრძენნი“, გვეტევის ჩუქნ მოციქული (ეფეს. 5, 15). ჭი კაცო! ღმერთი გხედავს შენ რასაცა იქმ, რაზედაც განიზრასავ, რასაცა იწყობ და განიგულებ, რაც გიუჭარს და რამცა გძულს, რითაც ნუგეშობ და გასცხრები, რისაგანაც მრისხანებ, რასაც ეძიებ და რისაგანაც იუფტვი, ვითარძი ჳზრძი და გონება გაქუჩს ღუთისადმი შემოქმედისა შენისა, ვითარ ექცევი მოუჭასთა შენთა, — ყოველსავე

ხედავს და იცინს, რას და რაზედ ღაპარაკობ უოკელივე ესმის და მოგატყობს შენ სკლისაებრ და ნაყოფთაებრ ქცეულებათა შენთა. ესრეთ საყვარელი, განეკრძალე ვითარ განეკრძალულად ხვალ ნუ ვითარცა უგუნური, აჩამედ ვითარცა ბრძენი.

როდესაც ბრწყინავს მზე ზეცით, უოკელივე ცხადად ჰსჩანს ქუჩყანასა ზედა: უოკელი ცხოველი ხედავს გზასა, რომელზედაც განუღობს და სად წარვიდეს, რა ქმნას და რას განეკრძალოს, ხედავს და განარჩევს ერთსა ნიუთსა მეორისაგან, აგრეთვე სასარგებლოსა სავნებელისაგან და სხუნანი, ამ სახით უოკელი „გამოვიდეს საქმესა თვსსა, და შრომასა თვსსა, მიმწუხრადმდე“ (ფსალ. 103-23). ესრეთვე იქმნების სულისათვისცა, რომელსაცა განანათლებს ქრისტე მზე სიძარტლისა. ესეკითარნი სული ცხადად ხედავს უოკელსავე, ჰსცნობს კეთილსა და ბოროტსა, ბიწიერებასა და კეთილსა საქმესა, მავნებელსა და სასარგებლოსა, გზასა წარსაწყმედელსა და გზასა მიმეყანებელსა საუკუნო ცხოვრებისადმი, და გამოვალს ქმნად საქმეთა სათნოდ ღმერთისა და თვსთა სარგებლობათათვის. ესრეთის სულისათვის ტკბილადს სიტყუა ღმერთისა, ვითარცა თვთ ღმერთი. ესრეთი სული მარადის ისწრაფის განსწულად ნეტარების ცხოვრებისადმი, და არა ვითარითამე სოფლის ამის ამარებითა სცთების მომსხენებელი სიტყუა მაცხოვრისათა „რას სარგებელადს კაცისა უკეთუ სოფელი ესე შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს“ (მატ. 16, 26)? ესრეთი სული მხოლოდ მას ზედ განიზრახავს თუ ვითარ სათნოაყოს შემოქმედსა თვსსა და აღწერილ-ქმნეს ცხოვნებულთა შორის. ნეტარადს სული იგი, რომელსაცა განანათლებს ღმერთი-რივი ნათელი!

როდესაც დავალს მზე, მაშინ იქმნება ქუჩყანაზედ სიბნელი და ღამე. მაშინ ერნი კერა რას ხედავენ, კერცა განარჩევენ ერთსა ნიუთსა მეორისაგან, და კლიან ვითარცა ბრძანი და სძირად შთავარდებიან მთხრებლსა შინა. ესრეთსავე მდგომარეობასა შინა არიან უოკელნი ერნი, რომელთაცა არ აღმობრწყინებიათ ნათელი ქრისტე-

ტესი. იგინი ვითარცა ბრძანნი ვერ განმჩევი კეთილისა და ბრძო-
ტისა, მიიზიდვიან მისდაძი, რომელიცა თავით თახით არა რაჲ არს
და უტევებენ თახიერ ყურადღებისა მას რომელიცა არს მათთვის
უძჯობეს და უძღლეს; ჭკონებ რომელ ვითომც კლიდნენ იგინი
გზასს სიმართლისასა, გარნა ვერ გულისხმა ჭყოფენ მას, რომელ
შთაიყვანვენ მათ მოსრებლსა წარწყმედისასა. მსგავსივე ამისა არიან
იგი ერნი, რომელნიცა შემსჭვალულ არიან ამოებისადმი ამის სოფ-
ლისა. იგინ ფიქრობენ მხოლოდ მას ზედა, თუ ვითარ შეიკრი-
ბონ უძრავლესი საუნჯე განსწინადი, ვითარ მიიწივნენ უძღლესსა
ჰატევისა და განსტნობდნენ ამა სოფელსა შინა და სხუნანი; — სო-
ლო საუკუნო ცხოვრების საუნჯისათვის მცირედ იღწვიან, ხადიან
მას ვითარცა საქმედ შეუჩაცხად. ღირს არს ესე განკვირვებისა ანუ
უძეტეს შებრალებისა! სედვენ უკუწ რომელ ყოველნი მოკუდავნი
უტევებენ ყოველსავე სოფელსა ამასა შინა და გადიან სოფლისა
ამისგან ვითარცა შემოვიდნენ შიშველნი; გარნა ვერა მგონობელნი
ამისა ყოველის ღონისძიებით იღწვიან და მეცადინეობენ სიმდიდ-
რისათვის, ვითომც იყოს მათთვის დანიშნული საუკუნოდ ცხოვრება
ამა სოფელსა შინა. ესე არა არს საკვირველ, რომელ წარმართნი,
რომელთა არა აქნესთ სახლება მიიზიდვოდნენ ესე ვითარისა ამო-
ებისადმი; ხოლო ესე კი არს საკვირველ, რომელ ქრისტიანე მიწო-
დებული საუკუნო ცხოვრებისა და კეთილთადმი, რომლისათვისცა
მარადის ესმის სახარებისაგან, იქმონენ მსგავსადვე მათსა. ჰი საწყა-
ლობელო კაცო! ვითარ ვერ გულისხმა გიყოფიეს ცრულება
ამა სოფლისა და მინდობილსარ მიწისადმი, რომელიცა
მსწრაფელ გამოცხადების და ვითარცა კუთხილი ადრე განქარდების;
და დაგიტევებიეს იგი რომელიცა არს ჭეშმარიტ და ჭკიეს საუკუ-
ნოდ? ყოველივე რაჲცა გვაქნეს სოფელსა ამას შინა თანა წარგვბდე-
ბის თახიერ კეთილისა, ხოლო თანა დაგვადგრების სამარადისოდ
რასაცა მოვიდრეწებთ საუკუნოსათვის. გარნა რათამცა განთავისუფლ-
დეს კაცი ესე ვითარისა სიბრძნისა და სიბნელისაგან და განათლდეს

ჴემპარტიითა ნათლითა, ჴერას მინდა, რათა მიუხლავდეს იესო ქრისტესა და სთხოვს მსგავსად შობითგან ბრძინა „იესო ქოდავითისო შემიწყალო მე“ (მატ. 9, 27), ჴბადვიდეს ყოველთჳს მაგალითსა წმიდათ ცხოვრებისა მისისასა და შეუდგეს კჴელსა მისსა; მაშინ ესეკითარე კაცე განათლდების ნათლითა ქრისტესითა მით რომელ, ოდეს გვაქჴს წინაშე ჩჴსნსა ნათელი მაშინ განათლდებით; მსგავსადვე ამისა სულიცა, რომელსაც მიუხლავდეს ქრისტესა, ბამას სახესა ყოვლადწმიდისა ცხოვრებისა მისისასა და შეუდგების მას; მაშინ განათლდების ნათლითა მისითა. რაოდენ უმანლობელეს ვართ ნათლისა, ეგოდენ განუნათლდებით. ქრისტე არს ნათელი ჴემპარტი და ამისოჳს ვინც მიუხლავდეს მას, მით უმეტეს განათლდების და ბნელსა შინა არღარა ვაღს. „მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიდგეს მე არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქჴნდეს ნათელი ცხოვრებისა“ (იოან. 8, 12). და ესრეთ, უკეთუ მაგალი ქრისტესთანა არღარა არს ბნელსა შინა; უეჭველია იგი, რომელიცა განემორება უბწყინვაღესსა ნათელსა (ქრისტესა), ვაღს ბნელსა შინა.

მზე ათობს და აცხოვლებს ყოველსავე რაღაცა არს ცასა ქჴსშე; ეგრეთვე ღმერთი, მზე საუკუნო მსურვალითა სიყვარულითა თჳსითა განატოვებს და განაცხოვლებს ყოველთა ქმნულებათა, სოლო უმეტესად კაცთა ნათესავსა: „მის მიერ ცხოველ-ვართ და ვიქცევით და ვართ“ (საქ. მოც. 17, 28). სოლო უმეტესი სიყვარული ჩჴსნ წარწყმდილთა და განმორებულთა ზედა, მით გამოახინა ღმერთმან რომელ მოგვივლინა მხოლოდშობილი ძე თჳნი. „რამეთუ ესრეთ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე კითარმედ ძეცა თჳნი მხოლოდშობილი მოსცა მას რათა ყოველსა რომელსა ჴრწმენეს იგი არა წარწყმდეს; არამედ აქჴნდეს ცხოვრება საუკუნო! რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თჳნი სოფლად რათა დასაჯოს სოფელი, არამედ რათა აცხოვნოს სოფელი მის მიერ“ (იოან. 3, 16). უგალობდით უთაღს ყოველი თჳსლები, და აქებდით მას ყოველი კრი, რამეთუ განძლი-

ერდა ჩუწნ ზედა წყალობა მიხი და ჭეშმარიტება უფლისა ჭკივს უკუნისამდე“ (ფსალ. 116). უგალობდი და აქებდი შენცა, სულა ჩემო უფალსა: იყოს სასული მიხი კურთხეულ ამიერიდგან კიდრე უკუნისამდე! გულისსმა-ჭყავ ქრისტიანო, ამა დიდებულსა მოქმედებასა ზედა და ყოველითა სულითა და გულითა შენითა მადლობ-დი უფალსა ღმერთსა.

ყოველი სედეკი მზესა და მსურველი განტოვობად სიტოფობსა მისგან მიკლენან მისდაძი; ესრეთვე ყოველი კეთილ-მოწმუნენი მიაქცევენ თვსთა ყურად-ღებათა ღმთისაძი და განტოვობიან სიტოფობთა მოწყალებისა მისისათა. „თუაღნი ყოველთანი შენდაძი ესვენ და შენ მოხცი საზრდელი მათი ყამსა, აღაღებ სელსა შენსა და განაძლებ ყოველსა ცხოველსა ნებისა-ებრ შენისა“ (ფსალ. 144, 15, 16). შეისმინე ჩუწნი ღმერთო მაცხოვარო ჩუწნო, სასლო ყოველთა კიდეთა ქუწყანისათაო და რომელი აჩიან ზღუათა შინა შორს „(ფსალ. 64, 5)! აღამაღლე თუაღნიცა შენნი ღმთისაძი რათაძცა განსთბე მსურვალთა მოწყალებითა მისითა და სძირად აღაღ-ჭყავ მსგავსად წინასწარმეტყუწლისა სიღრმით გულისათ: „შენდაძი აღვიბილენ თუაღნი ჩემნი რომელი დამკვიდრებულ ხარ ცათა შინა. აჭა ესერა ვითარცა თუაღნი მონათანი სელთა მიძართ უფალთა მათთასა და ვითარცა თუაღნი მსველისანი სელთა მიძართ დედოფლისა თვსისათა, ეგრეცა თუაღნი ჩუწნნი უფლისა მიძართ ღმთისა ჩუწნისა კიდრემდის შემიწყალნეს ჩუწნ“ (ფსალ. 122, 1. 2).

თვნიერ მზისა არა ვითარძიე ნაყოფი არ აღიზდების და არცა მოხსთვლობის; ეგრეთვე თვნიერ ღმთისა საუკუნო მზისა არა ვითარძიე კეთილი საქმე არცა დაიწყობის და არცა შესრულდების. კეთილი ნდომა ჩუწნი, კეთილი დასაწყისი და დასასრული ჩუწნი, ყოველივე მის მიერ არს. იგი იწყებს, იქმს და აღასრულებს ჩუწნ შორის,“ თვნიერ ჩემსა არა რა ძალ-გიძსთ ყოფად არცა ერთი“, იტყვის უფალი ჩუწნი იესო ქრისტე (იოან. 15, 5). ამინთვს ისწავე

ქრისტიანულ: 1, ჭსტან შენი უძლურება და არა რაკობა, რომელ შენ თავით თვხით არა რაკე ხარ, არამედ ვითარცა გამხმარი ხე რომელსაცა არა ძალაუძს არა ვითარისამე ნაყოფისა გამოღებად. 2) ისწავე სიძდაბლე. 3) ყოველი კეთილი საქმე შენი რადცა ჭქმენ ანუ მოქმედებ მიანდე მხოლასა ღმერთსა. 4) ყოველსა ყაძსა ჭსიხრკე ღმერთსა რათა არა მიაქციოს შენგან ყოვლადუხვი ხელი თვხი და ხშირად განიმეორებდე ლოცუასა წინასწარმეტყუელისასა: „ნუ დამაგდებ მე უფალო ღმერთო ჩემო და ნუცა განმეშორები ჩემგან. მოიხილე შეწევნად ჩემდა, უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო“ (ფსალ. 37, 21, 22). 5). როდესაც მოგივლანოს შენ ღმერთმან განსაცდელი, მწუხარება და ურკვა; ჭსტან რომელ მით ნებავს გამართვადა შენი, რათა გეოს შენ ნაყოფიერ ხედ. ესრეთ მოითმინე წინაშე ღმერთისა შენისა, ვითარცა ითმენ ოდეს მკურნალი გაძლეოს სასტიკსა და მწარესა წაძალსა. და ესრეთ „დაუთმე უფალსა, მსნე იყავნ და განძლიერდინ გული შენი და დაუთმე უფალსა“ (ფსალ. 26. 14).

მზე არაოდეს არ დასცხრების სკლისაგან თვხისა, არამედ ყოველთვის აღმოვალს აღმოსავლეთით და დავალს დასავლეთად და განჭოენს ცასა ქუჩაშე ნათელსა და სიტუოსა თვხსა. ეგრეცა უფალი ღმერთი ჩუჩნი არ დასცხრების კეთილისყოფად, არამედ ყოველთვის კეთილსაგვიყოფს. ესრეთი არს არსება მისი. ვინადგან; ღმერთი არის არსება სასიერი თვთ მოწმობისაებრ მაცხოვარისა: „არავინ არს სასიერ, გარსა მხოლო ღმერთი“ (მატ. 19, 17), ამისთვის არაოდეს არ დასცხრების კეთილისყოფად.

მზე მნათობს და განჭოენს სიტუოსა თვხსა ბოროტთა და კეთილთა ზედა; ეგრეთვე საუკუნო მზე უფალი ღმერთი ჩუჩნი კეთილსა უყოფს ბოროტთა და კეთილთაცა, კეთილმსახურთა და უსახურთაცა. აკურთხევს ხული ჩემი უფალსა! ვბადვიდეთ უკუჩ ძმანო ჩუჩნცა შემოქმედსა ჩუჩნსა და კეთილსა უყოფდეთ კეთილთა და ბოროტთა, მოყუარეთა და მოძულეთაცა; შეგონებისაებრ მოცი-

ქულისა „იუჴსნით უკჴს მობჰჰჰ ღჴთისა, ვითარცა შვილი საყვარელი; რამეთუ მზე მისი აღმოვაღს ბოროტთა ზედა და კეთილთა“ (ეფეს. 5, 1. მატ 5, 45).

მზე თანახმად განიხილოს სიტუაცია თვისა ყოველთა ნივთთა ზედა; ზოგნი ნივთნი სიტუაცია მისისაგან დადებიან, ესე იგი სანთელი და სხჴანი, ხოლო ზოგნი გამაგრდებიან, ესე იგი თისა და სხჴანი. ეგრეცა ღმერთი თანახმად კეთილსა უყოფს ყოველთა და ყოველთა მოუკლენს სიტუაცია მადლისა თვისისა; ხოლო ზოგნი კაცნი მოკლენან ღმობსა შინა და მიაჩთმევენ სინანულსა. ზოგნი ფიცხდებიან და წარწყმდებიან, ვითარცა ფარად განიფიცხებული წარწყმდა. — (მსგავსნი ამისა აწცა მრავალნი არიან სოფელსა ამას შინა). ჰი კაცო! „ანუ სიმდიდრესა მას სიტუაციებისა მისისა და თავსდობსა და სულგრძელებსა შეურაცხყოფ, ვერ გიცნობი-ეს, რამეთუ სიტუაცია ღჴთისა სინანულად მოგიუჩანებს შენ (რომაელ. 2, 4)? ამისთვის განეკრძალო რათა არა განრისხდე წყალობისა ზედა ღჴთისა; არამედ აღგძრას შენ სინანულად, და სულგრძელება ღჴთისა გექმნას საცხოვრებელად.

მზე ცხადად გამოჩნდება წმიდა და მუდრო წყალსა შინა და მსგავსება მისი გამოხატვის მას ზედა, ეგრეცა ღმერთი, მზე საუკუნო, ცხადად იხილვების მუდროსა, უმწიკვლოსა და წმიდასა სულსა შინა, და გამოხატვის მას შინა სახე მისი. „გინვიწმიდნეთ თავნი ჩჴსნი ყოვლისაგან შეგინებისა სოციალსა და სულისა და აღვასრულებდეთ სიწმიდესა შიშითა ღჴთისათა“ გვარძებს ჩჴსნი მოციქული (1 კორინ. 7, 2). ვეცადნეთ ჩჴსნი ძმანო, რათა დაემკვიდროს ჩჴსნი შორის ღმერთი საუკუნო და გამოხატოს სულსა შინა ჩჴსნსა წმიდა სახე მისი!

მაგარი და სქელი ნივთი, ესე იგი, ქვითკირის კედელი, კლდე და სხჴანი ვერ შეიტვენ თვს შორის ხათელსა მისისა; წინააღმდეგ ამისა მინა, წმინდა წყალი და სხჴანი შეიტჴსნ მას თვს შორის: ეგრეცა, გონება კაცისა შებღალული და შემწიკვლებული ცოდვებითა

და ზრუნვითა ამის ხოფლისათა კერ დაიტყვენ თუხ შორის განათ-
ლებასა ღუთისასა, ამისთუხ თქმულას: „ განიღვიძე რომელსა
ეპე გძინავს და აღსდებ მკუდრეთით და განგანათლოს შენ ქრის-
ტემან“ (ეფეს. 5, 14): შეინანე და ცრემლითა სინანულისათა გან-
სწმიდე სული შენი და განსდევნე შენგან ბინდი უმეტრებისა, — მს-
შინ განგანათლებს შენ ქრისტე მზე სიმართლისა.

მზე რადენ ახლოდება, ეგოდენ მტირედ იზრება აჩრდილი;
რადენ შორდება, ეგოდენ მომეტებულად იზრება ჩრდილი; ხო-
ლო რადესაც დაკაღს მზე, მამინ სრულებით აჩრდილი განქარდე-
ბის; ეგრეთა რადესაც ღმერთი მიუახლოდება კაცსა, მამინ თავ-
მდაბლად იზრება კაცი თუხ შორის, მისთუხ რომელ სედავს და ჭკ-
მნობს თუხ შორის დიდებულებასა ღუთისასა და თავისა თუხისა
უძლურებასა. წინააღმდეგ ამისა, რადენ განემორება ღმერთი კაც-
სა, ეგოდენ კაცი განსკავდება და განმპარტაკანდება. ხოლო რა-
დესაც ღმერთი სრულებით განემორება კაცსა, მამინ კაცი სრული-
ად წარწყმდება, — განქარდება, ვითარცა აჩრდილი დაკაღს რა მზე.
ერიდე ჰი კაცო! ზგაობასა და ამპარტაკანებასა, რათა არა დაეტე
მსგავსად ეშმაკისა; და ნუ ამალღდები, არამედ იყავნ მდაბალ: „რამე-
თუ რომელმან აღიმაღლოს თავი თუხი იგი დამდაბლდეს და რომელ-
მან დაიმაბლოს თავი თუხი იგი ამალღდეს“ (ლუკ. 18, 14).

ვისაც სურს რათა გაბრწყინდეს და განტყვეს მზისაგან, იგი
უნდა გამოვიდეს ბნელის საყოფელისაგან და დასდგეს მზისს ად-
გილსა; ეგრეთეკ ვისაც ჭსურს რათა განათლდეს ღუთისაგან საუკუ-
ნოსა მზისა და განტყვეს სიტყომათა უტკბილესის სიყუარულისა
მისისათა, მან უნდა დაუტყვოს სიბნელე ცოდვისა, მოიძულოს უსჯუ-
ლოება და ბიწიერი ცხოვრება, მიუახლოდეს ღმერთსა სინანულითა
და შემუსრვილითა გულითა ჭსთხროვს შენდობა და მოტყუება
ცოდუათა, — მამინ განათლდების გული მისი ნათლითა ღუთაებისა-
თა და განსტყუება სიტყომათა ღუთაებრივის სიყუარულისათა.
„მოკვდით მისა და განათლდით და პირსა თქუენსა არა რცხვენეს“

(ფსალ. 33. 5). მივიქცეთ, ქრისტიანეო, უფლისა ღმრთისადმი უფ-
ლითა გულითა რათა განვხატოდეთ ნათლითა მისითა და განვსტოვოთ
სიყვარულისა მოწყალებისა მისისათა.

ვინც დიდხანს და ყურადღებით უყურებს მზესა, მას თვალები
წახუნდება და დაუბნელდება; ეგრეთა ვინც გამოეძიებს და გამოი-
კვლევს ჭაზრითა თვისითა ცნობასა ღმრთისასა, მყოფისა ნათელსა ში-
ნა მიუწითლდება, და გამოიკვლევს მიუწითლდება საიდუმლოსა მის-
სა, მას ჭაზრი დაუბნელდება და შთავარდება უძეტესსა შეცთომი-
ლებასა შინა. განეკრძალე, კაცო, გამოეჭლევისა და გამოეძიებასა მას,
რადცა არა მოცემულა არს შენდა ცნობად. გარნა საკმაო არს ცნობად
ჩუქნდა ღმერთსედ მხალოდ მისა, რადცა გამოგვიცხადა თვით ღმე-
რთმან სიტყვითა თვისითა.

ვინც მიდის მზისაკენ, მას მისდევს ჩრდილი; ვინც მოდის
მზისგან — მას შორდების ჩრდილი; ეგრეთა ვინც მიუხალავდება
ქრისტესა და შეუდგება მას სარწმუნოებითა და სიყვარულითა, მას
შეეძობება ამა სოფელსა შინა სიძულილი და დეკნა; რადგანაც სო-
ფელი ესე დაბნელებული ცთუნებითა ეძმაკისათა არა ჭყვარობს ჭეშმა-
რიტებასა ღმრთისასა; როგორათაც სძულაობდა და სდეკნიდა ქრის-
ტესა თვით ჭეშმარიტებასა, ეგრეთა სძულაობს და სდეკნის ქრისტი-
ანესაცა მხურაბელსა ჭეშმარიტებისასა, ვითარცა იტყვის ამაზედ
მოციქული: „უოკელთავე რომელთა ნებაჲს ღმრთისაძსახურებით ცნო-
ვრება ქრისტე იესოს მიერ იდეკნენ“ (2 ტიმოთ. 3, 12). გარნა
ნუ შესძრწუნდება ამაზედ, საყვარელო ქრისტიანეო, რომელ სოფე-
ლმან ამან მოგიძულა შენ. იესო ქრისტე ვისაც სწყალობს და უყვარს,
მას ვერაძრას ავნებენ სიძულილი და სიბოროტე ამის სოფ-
ლისა. თვისსა მოხსავს იესო ქრისტე არაოდეს არ დაუტეკებს.
რავდენი ვკედრებანი და დეკნანი დაითმინა ქრისტემან შენთვის:
დაგიტეკებსა შენ ვკედრებასა და თხრავსა შინა? აი სხარულევანი
აღთქმა მისი მოწმუნისა მონისადმი: „მისთანა ვიყო, ჭირსა შინა
ვიხსნა იგი“ (ფსალ. 90, 15).

